



**საგანგებო მდგომარეობის პერიოდში
განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები:
ძირითადი მონაცემების ანალიზი და კონუფსიის რისკები**

2020 წლის ივლისი

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



Norwegian Ministry
of Foreign Affairs

I. ქინთაღი მიგნეგები დე რეკომენდეაციები

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სულ 557 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 1,495 ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა. შემდგარი ტენდერების ნახევარზე მეტში მხოლოდ ერთი მიმწოდებელი მონაწილეობდა. 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა თითქმის ორჯერ შემცირდა, თუმცა შემცირდა კონკურენციაც.

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში გამარტივებული შესყიდვის გზით 127.2 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 11,316 კონტრაქტი გაფორმდა. აქედან 57 მლნ ლარი გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, ხოლო 29.2 მლნ ლარი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით დაიხარჯა. შესყიდვის დაჩქარებისთვის აღნიშნული საფუძვლების გამოყენებას კანონი უშვებს, მაგრამ პრობლემად რჩება მათი ხშირად გამოყენება და შერჩეული მიმწოდებლის სახელისუფლებო პარტიასთან კავშირი.

სხვადასხვა წლებში „ქართული ოცნების“ და სალომე ზურაბიშვილის შემომწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა საგანგებო მდგომარეობის დროს პირდაპირი შესყიდვის გზით ჯამში სულ მცირე 45 მლნ ლარამდე ღირებულების კონტრაქტები მიიღეს, რაც აღნიშნულ პერიოდში პირდაპირი შესყიდვებით დახარჯული თანხის 35%-ია;

კვლევაში განხილული 21 კონკრეტული შესყიდვა სახელისუფლებო პარტიის შემომწირველებსა და მოგებულ კონტრაქტებს შორის კავშირზე მიუთითებს. მათ შორის არის რამდენიმე ისეთი შესყიდვა, როდესაც მიმწოდებელს კონტრაქტი თანხის შეწირვიდან რამდენიმე დღეში გაუფორმეს.

მთავრობის ადმინისტრაცია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს) და შსს-ს დაქვემდებარებული ზოგიერთი უწყება გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტებს არ აქვეყნებენ. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, პირდაპირი შესყიდვით მეტი თანხა იხარჯება, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე არ არის, რაც ართულებს ანალიზს და კორუფციული რისკების კონტროლს. ეს პრობლემა საგანგებო მდგომარეობამდეც აქტუალური იყო.

გამარტივებული შესყიდვის გზით ყველაზე მეტი თანხა - 24.4 მლნ ლარი ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საქონელსა და მომსახურებაზე დაიხარჯა. შემდეგ მოდის სასტუმროების მომსახურების შეძენა 23.6 მლნ ლარით;

რეკომენდაციები

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტენდერებში და გამარტივებულ შესყიდვებში გამარჯვებული კომპანიების მფლობელებისგან სახელისუფლებლო პარტიისადმი მაღალი რისკის მქონე შემწირულობების იდენტიფიცირების საკითხს;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს გამარტივებული შესყიდვის კონტრაქტების გამოქვეყნების საკითხს. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული შესყიდვების გარდა, „დაფარული კონტრაქტები“ არ უნდა არსებობდეს;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან გამარტივებულ შესყიდვებზე თანხმობის გაცემა მეტად უნდა გამკაცრდეს;
- გამარტივებული შესყიდვის გამოყენებისას, შემსყიდველი ვალდებული უნდა იყოს, დაასაბუთოს და გაასაჯაროს, თუ რის საფუძველზე შეარჩია მიმწოდებელი;
- საექვო გარემოებების შემცველი სახელმწიფო შესყიდვებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული დეპარტამენტი უნდა დაინტერესდეს.

II. შესავალი

2020 წლის 26 თებერვალს საქართველოში „კორონავირუსით“ ინფიცირების პირველი ფაქტი დადასტურა. მომდევნო დღეებში ინფიცირებულთა დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა იმატებდა, რის გამოც ხელისუფლებამ შემზღვევების დაწესება გადაწყვიტა. 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამავე დღეს პარლამენტმა პრეზიდენტის ბრძანება და „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტი დაამტკიცა. საგანგებო მდგომარეობამ სახელმწიფო შესყიდვებზე იქონია გავლენა. გაჩნდა გარკვეული საქონლის და მომსახურების შეძენის გადაუდებელი აუცილებლობა. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს გამარტივებული (პირდაპირი) შესყიდვების წესით ისარგებლოს. ამავე დროს, მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის გამო გადაიხედა გარკვეული საქონლის და მომსახურების შესყიდვის აუცილებლობა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავლები დააკლდა და ამასთან, გაუთვალისწინებელი ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში (2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისამდე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები შეისწავლა. კვლევის მიზანი იყო დაედგინა, ფორს-მაჟორულ სიტუაციაში ხომ არ მოიმატა კორუფციის რისკებმა და რის შესაძენად დაიხარჯა მნიშვნელოვანი თანხები.

კვლევაში შესწავლილია საგანგებო მდგომარეობის დროს განხორციელებული ის გამარტივებული შესყიდვები, რომელთა საკონტრაქტო ღირებულება 20,000 ლარზე მეტია და, ასევე, 100,000 ლარზე მეტი ღირებულების მქონე ელექტრონული ტენდერები.

გამარტივებული შესყიდვების და ელექტრონული ტენდერების საერთო სურათის ანალიზის გარდა, კვლევაში ცალ-ცალკე არის განხილული 21 შესყიდვა, სადაც კონტრაქტები მმართველი პარტიის შემომწირველებს გაუფორმეს.

1. გასაჩივრებადი შესყიდვები

2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით 127.2 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 11,316 კონტრაქტი გაფორმდა. აქედან, 9,797 კონტრაქტი იყო ისეთი, სადაც შესასყიდი საქონლის ან მომსახურების ღირებულება 5,000 ლარს არ აღემატებოდა.¹ ჯამში 5,000 ლარამდე შესყიდვებზე 9 მლნ ლარამდე დაიხარჯა, რაც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში განხორციელებული პირდაპირი შესყიდვების 7%-ია.

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სავარაუდოდ 127.2 მლნ ლარზე მეტი თანხა დაიხარჯა გამარტივებული შესყიდვების გზით. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ მზოგიერთი სახელმწიფო უწყება სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში კონტრაქტებს არ აქვეყნებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს) და შსს-ს დაქვემდებარებული ბოგიერთი უწყებები.

2015 წლიდან ამ თემაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არაერთხელ მიმართა, თუმცა რამდენიმე წლის განმავლობაში ეს პრობლემა არ აღმოფხვრილა. 2019 წლის ბოლოს შსს-ს მიერ 2015-წლიდან 2019 წლის

¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის თანახმად, 5,000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის ჩატარების აუცილებლობა არ ვრცელდება.

ოქტომბრამდე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვები სისტემაში გამოჩნდა, თუმცა 18 ოქტომბრის შემდეგ გამოქვეყნება ისევ შეწყდა, შესაბამისად, ეს საკითხი კვლავ პრობლემურად რჩება.


1.1. გაეანთივებული შესყიდვის საფუძველი

პირდაპირი შესყიდვის საშუალების გამოყენების საფუძვლად შემსყიდველები ყველაზე ხშირად გადაუდებელ აუცილებლობას ასახელებდნენ. გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით დაიხარჯა 57 მლნ ლარამდე, მთლიანი დანახარჯის თითქმის 45%. მათ შორის, 23.6 მლნ ლარი სასტუმროს საკარანტინო სივრცედ გამოყენების მიზნით დაიხარჯა, სადაც გამარტივებული შესყიდვის საფუძვლად გადაუდებელი აუცილებლობა იყო დასახელებული.

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში მნიშვნელოვნად იმატა გამარტივებული შესყიდვის საფუძვლად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მითითებამ, რომელიც საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის ან ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების სამართლებრივი აქტების გამოცემით ხორციელდება. ამ საფუძვლით 29.2 მლნ ლარი დაიხარჯა, რაც საგანგებო მდგომარეობის დროს გამარტივებული შესყიდვით დახარჯული თანხის 23%-ია. 2019 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 6% იყო. ასეთი ზრდა ჯანდაცვის სფეროს მომსახურების და ფარმაცევტული პროდუქტების აღნიშნული საფუძვლით შესყიდვამ განაპირობა. ასევე, მოიმატა სურსათის შესყიდვამ.

ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძველი გვხვდება სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით დადებულ კონტრაქტებში, რაც, ჩვენი აზრით, მეტწილად მშენებლობის დროში არასათანადოდ დაგეგმვით ან დაუსაბუთებელი მიზეზით არის განპირობებული. მაგალითად, *თბილისის განვითარების ფონდმა* გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე არეალის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მიმდინარე წლის 4 მარტს 8 მლნ ლარის გამარტივებულ შესყიდვებზე მიიღო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან თანხმობა. შესყიდვის საფუძვლად სწორედ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება იყო მითითებული. *თბილისის განვითარების ფონდმა* ნებართვა 44 შესყიდვის კატეგორიაზე მიიღო, საიდანაც ნაწილი სამშენებლო სამუშაოებთან კავშირში არ არის. თბილისის განვითარების ფონდმა აღნიშნული თანხმობის ფარგლებში, 3.2 მლნ ლარის ღირებულების კონტრაქტი შპს „ანაგს“ გაუფორმა. დანარჩენი თანხა ჯერ-ჯერობით განაწილებული არ არის.

გრაფიკი 1. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში განხორციელებული გამართივებული სახელმწიფო შესყიდვების განაწილება შესყიდვის საფუძვლის მიხედვით, მლნ ლარი



მონაცემთა წყარო: სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა

1.2. რის შესყიდვაზე დაიხარჯა ყველაზე მეტი თანხა გამართივებული შესყიდვებით

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში გამართივებული შესყიდვის გზით ყველაზე მეტი თანხა - **24.4 მლნ ლარი** ჯანდაცვასთან დაკავშირებულ (სამედიცინო მოწყობილობები, მომსახურებები და ფარმაცევტული პროდუქტები) საქონელსა და მომსახურებაზე დაიხარჯა. შემდეგ მოდის სასტუმროების მომსახურების შეძენა **23.6 მლნ ლარით**. პანდემიით გამოწვეული შესყიდვების აუცილებლობიდან ასევე აღსანიშნავია საკვებ პროდუქტებზე და სასმელებზე დახარჯული **15.3 მლნ ლარი** და სანიტარულ მომსახურებაზე და ჰიგიენურ საშუალებებზე დახარჯული **1.4 მლნ ლარი**.

სასტუმროების საკარანტინო სივრცედ გამოყენების მიზნით დაქირავება ისე ხდებოდა, რომ შერჩევის კონკრეტული კრიტერიუმები არ არსებობდა. სასტუმროს ზოგადი მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა, ესენია: ადგილმდებარეობა (პრიორიტეტი ენიჭებოდა აეროპორტებსა და სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებთან ახლოს მდებარე განთავსების ობიექტებს; ასევე, მჭიდროდ დასახლებული ადგილებისაგან მოშორებით მდებარე ობიექტებს) და სავენტილაციო სისტემა (სასტუმროს ნომრებს უნდა ჰქონოდა ცენტრალური ან/და ინდივიდუალური გათბობა/გაგრილების ისეთი სისტემა, რომელიც არ ითვალისწინებს ოთახებს შორის ჰაერის ცირკულაციას). სასტუმროების დაქირავება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე დაიწყო. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე სასტუმროების საკარანტინო სივრცეებად დაჯავშნისას

სასტუმროს ნომრის ღირებულება ყოველ ჯერზე წარმოადგენდა მოლაპარაკების საგანს. 2020 წლის 21 მარტიდან ახალი სასტუმროების საკარანტინო სივრცეებად დაჯავშნისას პროექტში ჩართული ყველა სასტუმროსათვის ერთიანი ტარიფი - **მაქსიმუმ 100 ლარი ერთი ნომრის ღირებულება** -ამოქმედდა. ²

გრაფიკი 2. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის 10 ყველაზე მსხვილი კატეგორია, მლნ ლარი



მონაცემთა წყარო: სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა

² საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისი დადგენილება №290 <https://bit.ly/2BUUsUHE>

1.3. ჩოქლეტის უწყვეტობა დახარჯვის ყველაზე მეტი თანხა გაეანტივიპული შესყიდვებით

21 მარტი - 22 მაისის პერიოდში გამარტივებული შესყიდვების გზით ყველაზე მეტი თანხა - 19.9 მლნ ლარი, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ დახარჯა. მათ შორის: 18 მლნ ლარი - სასტუმროების დაქირავებაზე, 855,000 ლარი - სამედიცინო მოწყობილობებზე და 800,000 ლარი - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებაზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა 4.9 მლნ ლარი დახარჯა, მათ შორის 4.4 მლნ სასტუმროების დაქირავებაზე მიიმართა. შედარებისთვის, მთელი 2019 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვების გზით ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 14 მლნ ლარამდე დახარჯა, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა 2.2 მლნ ლარამდე.

10.4 მლნ ლარი დახარჯა თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ, საიდანაც 10 მლნ ლარამდე სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების და ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე მოდის. თბილისის მერიის დაქვემდებარებულმა კიდევ ერთმა სამსახურმა - ტრანსპორტის განვითარების სააგენტომ 7.7 მლნ ლარი დახარჯა გამარტივებული შესყიდვების გზით, საიდანაც 6 მლნ ლარამდე სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობის და სათადარიგო ნაწილების შეძენაზე დაიხარჯა.

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში პირდაპირი შესყიდვით ჯანდაცვის სამინისტრომ 9.4 მლნ ლარი დახარჯა. ყველაზე მეტი თანხა 8.2 მლნ ლარამდე სამედიცინო მოწყობილობებზე დაიხარჯა, ხოლო 1 მლნ ლარი ფარმაცევტულ პროდუქტებზე. 190,000 ლარი დაიხარჯა საპაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე. შედარებისთვის, მთელი 2019 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვების გზით ჯანდაცვის სამინისტრომ 2.5 მლნ ლარი დახარჯა, რაც თითქმის 4-ჯერ ნაკლებია საგანგებო მდგომარეობის 2 თვიან პერიოდში დახარჯულ თანხაზე.

გრაფიკი 3. უწყებები, რომლებმაც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ყველაზე მეტი თანხა დახარჯეს გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, მლნ ლარი



მონაცემთა წყარო: სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა

2. ექსპერტული შეფასება

2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით 1,495 ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა, რომელთაგან 328 ტენდერი შეწყდა, არ შედგა ან უკვე დასრულდა უარყოფითი შედეგით. შემდგარი ტენდერების ჯამური ღირებულება 557 მლნ ლარია.

შემსყიდველები ძირითადად აუქციონის გარეშე, ელექტრონულ ტენდერს (NAT) ირჩევდნენ შესყიდვის საშუალებად. შესყიდვის აღნიშნულ საშუალებაზე მოდის 1,097 ტენდერი 481 მლნ ლარის ჯამური ღირებულებით. აუქციონის გარეშე ტენდერში წინადადების ღირებულების

წარდგენა ხდება მხოლოდ ერთხელ, ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროში და ფასების კლება ვაჭრობის დამატებით რაუნდებში არ ხორციელდება. ეს შესყიდვის საშუალება 2016 წლიდან არსებობს, რომლის მიზანიც დამატებით რაუნდებში ფასის მნიშვნელოვანი კლების თავიდან აცილებაა, რომ ფასის კლება მისაწოდებელი საქონლის და მომსახურების ხარისხის გაუარესების ხარჯზე არ მოხდეს.

2.1. ჩის შესყიდვაზე გამოცხადდა ყველაზე მეტი ღირებულების ელექტრონული ტენდერები

საგანგებო მდგომარეობის 2 თვიან პერიოდში გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების რაოდენობას 2019 წლის საშუალო თვიურ მაჩვენებელს თუ შევადარებთ, აშკარა კლებას დავინახავთ. 2019 წლის მარტში, აპრილში და მაისში, თვეში საშუალოდ 2,800 ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა, რაც თითქმის ორჯერ აღემატება საგანგებო მდგომარეობის საშუალო თვიურ მაჩვენებელს. თუმცა, თანხობრივად შედარებით მცირე (15%-იანი) სხვაობაა - 2019 წელს თვეში საშუალოდ 330 მლნ ლარის ჯამური ღირებულების ტენდერები ცხადდებოდა, მიმდინარე წლის საკვლევ პერიოდში გამოცხადებული ტენდერების ჯამური ღირებულება კი 280 მლნ ლარამდეა.

ტენდერების რაოდენობის განახევრებასთან ერთად ჯამური თანხის მხოლოდ 15%-ის კლება სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების ზრდამ განაპირობა. ზოგადად, იშვიათი გამონაკლისების გარდა, სახელმწიფო შესყიდვებში ყველაზე მსხვილი თანხები სამშენებლო სამუშაოებში იხარჯება.


საგანგებო მდგომარეობის პერიოდში 460 მლნ ლარის ჯამური ღირებულების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე 266 ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა. თანხობრივად სამშენებლო სამუშაოებზე ყველა ტენდერის 83% მოდის. სამშენებლო სამუშაოების დაჩქარების გადანყვეტილება, როგორც ჩანს, ეკონომიკური აქტივობის ასამაღლებლად იყო მიღებული. სხვა ეკონომიკური საქმიანობებისგან განსხვავებით, მშენებლობები უფრო ხანმოკლე დროით შეჩერდა.

სამშენებლო სამუშაოების შემდეგ ყველა მეტი ჯამური ღირებულების - 28.5 მლნ ლარის ტენდერები ტრანსპორტის შეკეთების მომსახურების და სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე გამოცხადდა.

10.7 მლნ ლარის ჯამური ღირებულების ორი ტენდერი გამოაცხადა *საზოგადოებრივმა მუნიციპალიტეტმა* სატელევიზიო ტექნიკის შესყიდვაზე. აქედან, ერთი არ შედგა, ხოლო მეორე, 7.9 მლნ ლარამდე ღირებულების ტენდერზე ჯერ-ჯერობით გამარჯვებული არ არის გამოვლენილი.

ჯანდაცვის სფეროს მომსახურებაზე, სპეციალურ ტანსაცმელზე და სამედიცინო მოწყობილობებზე და ფარმაცევტულ პროდუქტებზე ჯამში 11.5 მლნ ლარის ტენდერები გამოცხადდა.

გრაფიკი 4. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ჩატარებული სახელმწიფო ელექტრონული ტენდერების 10 ყველაზე მსხვილი კატეგორია, მლნ ლარი



მონაცემთა წყარო: სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა

საგანგებო მდგომარეობის დროს ყველაზე მეტი ღირებულების - ჯამში 108.5 მლნ ლარის ტენდერები თბილისის მერიამ გამოაცხადა. ყველაზე მსხვილი 10 შემსყიდველში მოხვდა ასევე თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებები: თბილისის განვითარების ფონდი, თბილისის სატრანსპორტო კომპანია და თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო. მერიამ და მისმა დაქვემდებარებულმა უწყებებმა ერთად 189 მლნ ლარის ტენდერები გამოაცხადეს, რაც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში გამოცხადებული ტენდერების ჯამური ღირებულების 34%-ია.

თბილისის მერიის შემდეგ ყველაზე მსხვილი შემსყიდველი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მისი დაქვემდებარებული უწყებებია (მუნიციპალური

განვითარების ფონდი და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია), რომლებმაც ჯამში 86 მლნ ლარის ტენდერები გამოაცხადეს.

გრაფიკი 5. უწყებები, რომლებმაც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ყველაზე მეტი თანხა დახარჯეს ელექტრონული სახელმწიფო ტენდერებით, მლნ ლარი




მონაცემთა წყარო: სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა

2.2. კონკრეტული ელექტრონული ტენდერები

საგანგებო მდგომარეობის დროს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებიდან 974 უკვე შედგა ან შეთავაზებები გაკეთდა, საიდანაც 580 ტენდერში მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა მიიღო მონაწილეობა. აქედან, 400-მდე ტენდერში უკვე გამოვლინდა გამარჯვებული, დანარჩენი გადაწყვეტილების მიღების პროცესშია. გამოდის, რომ ყოველი მეორე ტენდერი კონკურენციის

გარეშე შედგა. ერთ ტენდერში კი საშუალოდ 1.8 პრეტენდენტი მონაწილეობდა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის ანგარიშის³ მიხედვით, ერთ ტენდერში პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა 2.05 იყო. შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის დროს კონკურენცია შემცირდა.

ჯამში 235 მლნ ლარი განაწილდა ისეთი ტენდერების მეშვეობით, რომლებშიც მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა, რაც ტენდერების ჯამური თანხის 54%-ია. 137 მლნ ლარი კი ორ პრეტენდენტიანი ტენდერების გზით განაწილდა. მთლიანობაში ერთ ან ორ პრეტენდენტიან ტენდერებში ჯამური თანხის 85% დაიხარჯ(ებ)ა.



მონაცემთა წყარო: სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა

³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში <https://bit.ly/38b1nEB>

III. კონსტიტუციის რისკის შეფასვლი შეფასებები

კვლევაში ცალკე გამოვყავით ის შესყიდვები, რომლებმაც ყურადღება მიიქცევს სხვადასხვა საექვო გარემოებების გამო. ძირითადად, ეს გარემოებები მმართველი პარტიის და მისი საპრეზიდენტო კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის შემომწირველების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობასთანაა დაკავშირებული. ჩვენ მიერ შესწავლილი კონტრაქტებიდან გამოვლინდა, რომ **„ქართული ოცნების“ შემომწირველებთან დაკავშირებულმა 25-მა კომპანიამ საგანგებო მდგომარეობის დროს გამარტივებული შესყიდვის გზით ჯამში 45 მლნ ლარამდე ღირებულების 68 კონტრაქტი მიიღო (დანართი 1), რაც აღნიშნულ პერიოდში პირდაპირი შესყიდვებით დახარჯული თანხის 35%-ია.** აღნიშნული 25 კომპანიის მფლობელებმა 2016-2020 წლებში „ქართულ ოცნებას“ ჯამში 2.3 მლნ ლარზე მეტი შეწირეს.

შპს „ყვარლის ედემი“

შპს „ყვარლის ედემის“ მფლობელებმა და დირექტორმა 2020 წლის 20 და 23 მარტს „ქართულ ოცნებას“ ჯამში 65,000 ლარი შეწირეს და რამდენიმე დღეში საქართველოს ტერიტორიის ეროვნული ადმინისტრაციისგან გამარტივებული შესყიდვის გზით 277,300 ლარიანი კონტრაქტი მიიღეს.

სასტუმროს 2013-2019 წლებში 400,000 ლარის ღირებულების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტები აქვს გაფორმებული, თუმცა აქამდე ერთი კონტრაქტით მაქსიმუმ 76,000 ლარი ჰქონდა მიღებული.

შპს „ყვარლის ედემის“ დირექტორმა, **ალექსანდრე მაღრაძემ** 2020 წლის 20 მარტს „ქართულ ოცნებას“ 5,000 ლარი შეწირა. „ქართული ოცნების“ შემომწირველია შპს „ყვარლის ედემის“ 50%-იანი წილის მფლობელი შპს **„ზიმოს“**. კომპანიის სახელით 2019 წლის სექტემბერში „ქართულ ოცნებას“ 100,000 ლარი შეწირეს. „ქართული ოცნებისთვის“ ცალ-ცალკე აქვთ შეწირული თანხა „ზიმოს“ წილის მფლობელებსაც:

- მიმდინარე წლის 20 მარტს შპს „ზიმოს“ დირექტორმა და წილის მფლობელმა **ზურაბ კიკნაძემ** 25,000 ლარი შეწირა. 2019 წლის მაისში კი - 60,000 ლარი.
- კომპანიის წილის კიდევ ერთმა მფლობელმა, **ილია ქავთარაძემ** 2020 წლის 20 და 23 მარტს „ქართულ ოცნებას“ ჯამში 13,000 ლარი შეწირა.
- წილის კიდევ ერთმა მფლობელმა **ლევან მარშანიამ** 2020 წლის 23 მარტს „ქართულ ოცნებას“ 5,000 ლარი შეწირა.
- წილის კიდევ ერთმა მფლობელმა **გია უროტაძემ** 2020 წლის 20 და 23 მარტს 17,000 ლარი შეწირა „ქართულ ოცნებას“. 2019 წლის მარტში 10,000 ლარი აქვს შეწირული.

შპს „ყვარლის ედემთან“ დაკავშირებულ პირებს 2019-2020 წლებში ქართულ ოცნებისთვის სულ 235,000 ლარი აქვთ შეწირული. კომპანია „ზიმოს“ კი 2012-2019 წლებში პირდაპირი შესყიდვის გზით 19 მლნ ლარის ღირებულების 49 კონტრაქტი აქვს სახელმწიფო უწყებებთან გაფორმებული.

შპს „ზიმოს“ აქტიურად მონაწილეობდა ბიძინა ივანიშვილის ხეების გადატანაში, ხოლო სახელმწიფო შესყიდვებით აღებულ ვალდებულებებს დაგვიანებით ასრულებდა. 2013-2017 წლებში საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და კომპანია „ზიმოს“ შორის გაფორმებულ 16 ხელშეკრულებაში ცვლილება 65-ჯერ შევიდა.⁴

4 <https://batumelebi.netgazeti.ge/news/79135/>

შპს „ბაკურიანი ინ“, შპს „რენესანს კონსტრაქშენი“, შპს „სასტუმრო გუდაური ინ“, შპს „სასტუმრო ივერია ინ“

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ პირდაპირი შესყიდვის გზით კომპანია შპს „ბაკურიანი ინ“-ს სასტუმროს საკარანტინო სივრცედ გამოყენების მიზნით 21 მარტს 675,740 ლარის, ხოლო 19 მაისს 257,072 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა. ჯამში ამ კომპანიამ სახელმწიფო შესყიდვებით 932,812 ლარი მიიღო.

3 მარტს და 12 მაისს „სასტუმრო ივერია ინ“-მა ტურიზმის ადმინისტრაციისგან პირდაპირი შესყიდვის გზით ჯამში 1.9 მლნ ლარის ღირებულების ორი კონტრაქტი მიიღო.

25 მარტს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისგან პირდაპირი შესყიდვის გზით შპს „რენესანს კონსტრაქშენმა“ 88,740 ლარიანი კონტრაქტი მიიღო.

ასევე, 13 მარტს ტურიზმის ადმინისტრაციამ პირდაპირი შესყიდვის გზით შპს „სასტუმრო გუდაური ინ“-ს სასტუმროს საკარანტინო სივრცედ გამოყენების მიზნით 700,620 ლარიანი, ხოლო 12 მაისს 176,246 ლარიანი კონტრაქტი გაუფორმა. ჯამში კომპანიამ სახელმწიფო შესყიდვებში 876,866 ლარი მიიღო.

აღნიშნულ ოთხ სასტუმროს ერთმანეთთან ის აკავშირებს, რომ ოთხივეში გარკვეული წილის მფლობელია **პაატა კოკია**, რომელმაც 2018 წლის ოქტომბერში სალომე ზურაბიშვილს 55,000 ლარი შესწირა.

საგანგებო მდგომარეობის დროს პაატა კოკიას კუთვნილმა სასტუმროებმა ჯამში 3.8 მლნ ლარამდე ღირებულების კონტრაქტები მიიღეს.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

სახელმწიფო შპს-მ **„სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“** პირდაპირი შესყიდვის გზით, სს „თ & რ დისტრიბუშენიდან“ 200,000 ლარამდე ღირებულების სიგარეტი შეიძინა. კონტრაქტები პირველ და 23 აპრილს გაფორმდა. 2015-2020 წლებში აღნიშნულ კომპანიას სულ 875,000 ლარამდე ჯამური ღირებულების 15 კონტრაქტი აქვს მიღებული პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვით.

სს „თ & რ დისტრიბუშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ **რაფიელ სურამელაშვილმა** 2016-2017 წლებში „ქართულ ოცნებას“ 105,000 ლარი შესწირა, კომპანიის საბჭოს წევრმა **ნიკა ზაუტაშვილმა** ამავე პარტიას და სალომე ზურაბიშვილს 130,000 ლარი შესწირა, კიდევ ერთმა წევრმა და კომპანიის დირექტორმა **ზურაბ აღნიაშვილმა** კი სხვადასხვა წელს ჯამში 145,000 ლარი გაიღო იგივე სუბიექტების სასარგებლოდ. კომპანია „თ & რ დისტრიბუშენს“ საკუთარი სახელით 2016-2017 წლებში „ქართულ ოცნებას“ 115,000 ლარი შესწირა.

ამ კომპანიამ და მასთან დაკავშირებულმა ყველა პირმა ერთად ჯამში 495,000 ლარი შესწირეს „ქართულ ოცნებას“ და სალომე ზურაბიშვილს.

შპს „ჯი-თი გრუპი“

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში კომპანია „ჯი-თი გრუპთან“ პირდაპირი შესყიდვის წესით 13 კონტრაქტი გაფორმდა, რომელთა ჯამური ღირებულება 10 მლნ ლარზე მეტია. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი არის 3 მლნ ევროს ღირებულების კონტრაქტი, რომელიც „ჯი-თი გრუპთან“ *თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ* ავტობუსების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურებისთვის გააფორმა. გამართივებული შესყიდვის წინაპირობა 2019 წელს თბილისის მერიისთვის 65 მლნ ლარის ღირებულების 220 ავტობუსის მიწოდება იყო. კონტრაქტში აღნიშნული ინფორმაციის თანახმად, 3 მლნ ევრო სწორედ აღნიშნული ავტობუსების მომსახურებას მოხმარდება. ზოგადად,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი უშვებს გამონაკლისს, საქონლისა და მომსახურების ხარისხის შენარჩუნების გარანტიიდან გამომდინარე, გამოიყენო პირდაპირი შესყიდვა და იმ კომპანიისგან მიიღო მომსახურება, რომლისგანაც ძირითადი საქონელი შეიძინე. ამ შემთხვევაში ავტობუსები იყო ძირითადი საქონელი.

გამარტივებული შესყიდვის კონტრაქტების გარდა, საკვლევ პერიოდში „ჯი-თი გრუპმა“ მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ ავტობუსების შესყიდვაზე გამოცხადებული 1.3 მლნ ლარიანი ერთი ტენდერიც მოიგო. ამ ტენდერში კომპანიას მხოლოდ ერთი კონკურენტი - შპს „აზია სერვისი“ ჰყავდა, რომელმაც უფრო დაბალი ფასი შესთავაზა, მაგრამ სატენდერო კომისიამ ტექნიკური დოკუმენტაციიდან გამომდინარე დისკვალიფიკაცია მისცა და საბოლოოდ „ჯი-თი გრუპთან“ გააფორმა კონტრაქტი.

შპს „ჯი-თი გრუპის“ გენერალურმა დირექტორმა **ლევან გოგსაძემ** 2016 წელს 38,000 ლარი შესწირა „ქართულ ოცნებას“. კომპანიის მფლობელმა **გიორგი გველესიანმა** კი 2016-2018 წლებში ჯამში 120,000 ლარი შესწირა იმავე „ქართულ ოცნებას“.

2020 წლამდე კომპანიასთან 3.5 მლნ ლარამდე ღირებულების პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტებია გაფორმებული, ხოლო ელექტრონული ტენდერებიდან „ჯი-თი გრუპს“ 100 მლნ ლარზე მეტი აქვს მიღებული.

შპს „მზიური“ და შპს „ალფა“

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ 4,232,800 აშშ დოლარის ღირებულების გამარტივებული შესყიდვის კონტრაქტები გაუფორმა შპს „მზიურს“ და შპს „ალფას“. შპს „მზიურთან“ გაფორმებული 1,424,400 აშშ დოლარის (4,531,444 ლარი) ხელშეკრულება 1,5 მილიონი ლიტრი ზეთის რუსეთის ფედერაციიდან შესყიდვას, ხოლო შპს „ალფასთან“ დადებული ხელშეკრულება 2,808,400 აშშ დოლარის (8,934,363 ლარი) ღირებულების 5 ათასი ტონა შაქრისა და 400 ტონა მაკარონის რუსეთის ფედერაციიდან და ბელარუსიდან შესყიდვას ითვალისწინებს.

საგანგებო მდგომარეობის პირობებში მსხვილი პირდაპირი შესყიდვის მიღებამდე შპს „მზიურს“ სახელმწიფო შესყიდვების დიდი გამოცდილება არ ჰქონდა – მას არც ერთ ელექტრონულ ტენდერში არ აქვს მონაწილეობა მიღებული და 2012 წლიდან დღემდე მხოლოდ 13 მცირე პირდაპირი კონტრაქტი აქვს გაფორმებული.

კომპანია „მზიურის“ დირექტორმა **შოთა ბასილაშვილმა** და სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა **დიმიტრი რამიშვილმა** „ქართულ ოცნებას“ ერთი და იმავე ოდენობის თანხა, ფაქტობრივად, ერთდროულად შესწირეს. 2018 წლის 13 დეკემბერს სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ თითოეულმა 30,000 ლარი გაიღო, ხოლო 2017 წლის 11-12 სექტემბერს თითოეულმა 50,000 ლარი შესწირა „ქართულ ოცნებას“.

გამარტივებული შესყიდვით შერჩეულმა მეორე კომპანიამ **შპს „ალფამ“** 2016 წელს 120,000 ლარი შესწირა „ქართულ ოცნებას“. შპს „მზიურის“ მსგავსად, შპს „ალფა“-საც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება არ აქვს, კერძოდ, 2014-2019 წლებში მას ოთხი მცირე პირდაპირი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული.

შპს „ლოჯინი“

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2020 წლის 31 მარტს პირდაპირი შესყიდვის გზით შპს „ლოჯინთან“ 750,000 ლარიანი კონტრაქტი გააფორმა. აღნიშნული კომპანიის 33% წილის მფლობელი **ავთანდილ ნაცვლიშვილი** „ქართული ოცნების“ შემომწირველია. 2017 წლის სექტემბერში მან პარტიას 10,000 ლარი შესწირა.

შპს „ლოჯინს“ 2017-2020 წლებში პირდაპირი შესყიდვის წესით 1.2 მლნ ლარის ღირებულების 3 კონტრაქტი გაუფორმდა. 2012-2020 წლებში კი მას ელექტრონული ტენდერებიდან 13 მლნ ლარზე მეტი აქვს მიღებული. კომპანია ძირითადად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებს იგებს.

შპს „ეი-ბი ემ“

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში შპს „ეი-ბი ემ“-მა პირდაპირი შესყიდვების გზით 3.1 მლნ ლარის 5 კონტრაქტი მიიღო, მათ შორის, ყველაზე მაღალი ღირებულების - 2,867,200 ლარიანი კონტრაქტი 18 მაისს ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა გაუფორმა. ხელშეკრულების თანახმად კომპანიამ „კორონავირუსისთვის“ საჭირო სადიაგნოსტიკო ნაკრები და რეაქტივები უნდა მიაწოდოს.

8 აპრილს, პირდაპირი შესყიდვის გზით, ლაბორატორიული რეაქტივების შესაძენად შპს „ეი-ბი ემ“-თან 200,300 ლარიანი კონტრაქტი გააფორმა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ.

2016 წლის აგვისტოში შპს „ეი-ბი ემ“-ის დირექტორმა **ალექსანდრე ხეთერელმა** „ქართულ ოცნებას“ მაქსიმალური თანხა, 60,000 ლარი შესწირა.

შპს „ეი-ბი ემ“-ს 2014-2020 წლებში პირდაპირი შესყიდვის წესით ჯამში 8 მლნ ლარის ღირებულების 162 კონტრაქტი გაუფორმდა. ამავე პერიოდში კომპანიას 4 მლნ ლარამდე ღირებულების ელექტრონული ტენდერები აქვს მოგებული, უმეტესობა უკონკურენტოდ.

შპს „ჯეოსტარი“

7 მაისს თავდაცვის სამინისტრომ პირდაპირი შესყიდვის გზით 110 ათას ლარიანი კონტრაქტი გაუფორმა შპს „ჯეოსტარს“, რომლის ერთ-ერთ მფლობელს - **არჩილ მაზიაშვილს** 2016 წელს 55,000 ლარი აქვს შეწირული „ქართული ოცნებისთვის“. აღნიშნული კონტრაქტის გაფორმებამდე ამ კომპანიას 29 ათას ლარამდე საერთო ღირებულების პირდაპირი კონტრაქტები ჰქონდა მიღებული. კომპანიას ელექტრონული ტენდერი (78,000 ლარის ღირებულების) ერთხელ, 2018 წელს აქვს მოგებული.

შემომწირველის მონაწილეობის გარდა, ეს შემთხვევა იმითაც არის საინტერესო, რომ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში აღნიშნული კონტრაქტი (CMR200066091) აღარ იძებნება. კონტრაქტი წვერის საპარსი მოწყობილობების შესყიდვას უკავშირდებოდა.

შპს „ყვარელი პალასი“

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციამ 30 მარტს პირდაპირი შესყიდვის გზით სასტუმრო „ყვარლის პალასთან“ 224,440 ლარიანი კონტრაქტი გააფორმა. სასტუმროს მფლობელი შპს „აგროგანვითარებაა“, რომლის ერთ-ერთმა მფლობელმა **ივანე ნიკოლაიშვილმა** 2016 წლის აგვისტოში „ქართულ ოცნებას“ 40,000 ლარი შესწირა.

აღნიშნულ კონტრაქტამდე 2019-2020 წლებში „ყვარლის პალასს“ პირდაპირი შესყიდვის გზით 63,000 ლარამდე ღირებულების ხელშეკრულებები ჰქონდა მიღებული.

შპს „გიორგი - 94“

მიმდინარე წლის 13 აპრილს და 6 მაისს შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფამ“ პირდაპირი შესყიდვის გზით, შპს „გიორგი - 94“-ს ჯამურად 48,060 ლარის ღირებულების ორი კონტრაქტი გაუფორმა. „გიორგი - 94“-ის დირექტორმა და წილის მფლობელმა **გონა ხიხაძემ** და ასევე,

კომპანიის წილის კიდევ ერთმა მფლობელმა **ლევან კობახიძემ** 2018 წლის ნოემბერში სალომე ზურაბიშვილს 5,000-5,000 ლარი შესწირეს.

აღნიშნულ კონტრაქტებამდე კომპანიას პირდაპირი შესყიდვის ან ელექტრონული ტენდერის გზით კონტრაქტები არ მიუღია.

შპს „გზა-მშენებელი-13“

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ პირდაპირი შესყიდვის გზით, 30 აპრილს „გზა-მშენებელი-13“-ს 25,000 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა. აღნიშნული კომპანიის მფლობელები **დალილა გაბელაია** და **ნიკოლოზ კვარაცხელია** „ქართული ოცნების“ შემომწირველები არიან. 2018 წლის 5 სექტემბერს მათ პარტიას 5,000-5,000 ლარი შესწირეს.

საგანგებო მდგომარეობამდე, 2012-2019 წლებში „გზა-მშენებელი-13“-ს პირდაპირი შესყიდვების გზით ჯამურად ნახევარ მილიონ ლარზე მეტის ღირებულების 42 კონტრაქტი აქვს გაფორმებული.

2012-2019 წლებში კომპანიამ 11 მლნ ლარზე მეტი ღირებულების ელექტრონული ტენდერი მოიგო, თუმცა უმეტეს ტენდერებში კონკურენტი არ ჰყავდა.

შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ“

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ პირდაპირი შესყიდვის გზით შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ“-ს სასტუმროს საკარანტინო სივრცედ გამოყენების მიზნით 21 მარტს და 20 აპრილს ორი კონტრაქტი გაუფორმა. ჯამში ამ კომპანიამ 485,290 ლარი მიიღო.

„ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ“-ის 100%-იანი წილის მფლობელი **ვლადიმერ სტეფანიანია**, რომელმაც 2018 წლის ოქტომბერში სალომე ზურაბიშვილს 60,000 ლარი შესწირა.

შპს „კ და ქართული სპირტი“

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ პირდაპირი შესყიდვის გზით შპს „კ და ქართული სპირტის“ სასტუმროს საკარანტინო სივრცედ გამოყენების მიზნით 16 და 27 მარტს ორი კონტრაქტი გაუფორმა. ჯამში კომპანიამ 65,000 ლარი მიიღო.

„კ და ქართული სპირტის“ გენერალურ დირექტორს **ირაკლი ბექაურს** 2018-2019 წლებში „ქართული ოცნებისთვის“ და სალომე ზურაბიშვილისთვის 90,000 ლარი აქვს შეწირული. ბექაურმა ბოლო, 20,000 ლარიანი შემოწირულება 13 მარტს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გაიღო, სამი დღის შემდეგ კი პირდაპირი შესყიდვით პირველი კონტრაქტი მიიღო.

ამავე კომპანიის დირექტორმა **გიორგი დამენიამ** მიმდინარე წლის 15 აპრილს „ქართულ ოცნებას“ 30,000 ლარი შესწირა.

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ პირდაპირი შესყიდვის გზით შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობას“ სასტუმროს საკარანტინო სივრცედ გამოყენების მიზნით 3 კონტრაქტი გაუფორმა, რომელთა ჯამური ღირებულება 252,183 ლარი იყო. 2020 წლამდე ამ კომპანიის მიერ სახელმწიფო შესყიდვებიდან მიღებული ყველაზე მსხვილი კონტრაქტი 29,000 ლარის ღირებულების იყო. 2012 წლიდან 2019 წლის ჩათვლით კომპანიას ჯამში 260,000 ლარამდე ღირებულების კონტრაქტები აქვს მიღებული.

2016 და 2017 წლებში ამ კომპანიამ „ქართულ ოცნებას“ ჯამში 240,000 ლარი შესწირა. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელმა და ამავე დროს დირექტორმა **ზურაბ ჩხაიძემ** 2018 წლის

ოქტომბერში სალომე ზურაბიშვილს 60,000 ლარი შესწირა. ზურაბ ჩხაიძეს სახელისუფლებო პარტიისთვის ჯამში 300,000 ლარი აქვს შეწირული.

ზურაბ ჩხაიძე ასევე არის არასამეწარმეო იურიდიული პირის „ქართული ღვინო“-ს გამგეობის წევრი. „ქართულმა ღვინომ“ 2012-2020 წლებში პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვებით 2.5 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების 35 კონტრაქტი მიიღო.

შპს Weekend

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ პირდაპირი შესყიდვის გზით შპს „Weekend“-სგან 6 აპრილს 1,329,680 აშშ დოლარის (დაახლოებით 4.2 მლნ ლარის) ღირებულების სამედიცინო მოწყობილობები შეისყიდა. 7 აპრილს კომპანიამ კიდევ ერთი, 20,617 დოლარიანი (დაახლოებით 68,000 ლარის) კონტრაქტი მიიღო. შპს „Weekend“ პირდაპირი შესყიდვით კონტრაქტებს 2020 წლის აპრილიდან იღებს და ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების გარდა 60,000 ლარამდე ჯამური ღირებულების 23 კონტრაქტი აქვს მიღებული.

შპს „ჯეოფერუმის“ 100%-იანი წილის მფლობელმა და დირექტორმა **ბონდო გოლეტიანმა** 2018 წელს სალომე ზურაბიშვილს 25,000 ლარი შესწირა.

შპს „თბილისი რეფიერ კომპანი“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტომ პირდაპირი შესყიდვის გზით შპს „თბილისი რეფიერ კომპანის“ შექნიშნების და სხვა საგზაო მოწყობილობების შესაძენად ჯამში 3 მლნ ლარზე მეტი ღირებულების 2 კონტრაქტი გაუფორმა.

შესყიდვის საფუძველი ამავე კომპანიასთან 2018 წელს ელექტრონული ტენდერის მეშვეობით გაფორმებული კონტრაქტი იყო. 2018 წლის დეკემბერში კომპანიამ *თბილისის მერიის* 2.7 მლნ ლარიანი კონტრაქტი მოიგო. ტენდერში 4 კომპანია მონაწილეობდა, „თბილისი რეფიერ კომპანიმ“ ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა და ფასის მიხედვით სამივე კონკურენტთან დამარცხდა. თუმცა, მერიამ სამივე კონკურენტს დისკვალიფიკაცია მიანიჭა ტექნიკურ დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზის გამო და კონტრაქტი „თბილისი რეფიერ კომპანიასთან“ გააფორმა. სამივე კონკურენტმა კომპანიამ მერიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მაგრამ შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭომ ერთი კომპანიის საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია, ორის კი - არ დააკმაყოფილა.

მიმდინარე წლის 30 აპრილს აღნიშნულ კომპანიასთან უკვე აღებულ ვალდებულებებზე გამარტივებული გზით კონტრაქტების გაფორმება შემსყიდველის ჩანაცვლებით (თბილისის მერიის ნაცვლად სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო) და ვადების გახანგრძლივებით იყო განპირობებული.

შპს „თბილისი რეფიერ კომპანიმ“ 2016 წელს „ქართულ ოცნებას“ 60,000 ლარი შესწირა.

აღნიშნული კონტრაქტის გარდა, 2015-2020 წლებში „თბილისი რეფიერ კომპანიმ“ 8.3 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 7 ელექტრონული ტენდერი მოიგო, თუმცა არც ერთ ტენდერში კონკურენტი არ ჰყოლია. 2020 წლამდე კომპანია მხოლოდ თბილისის მერიის გამოცხადებულ ტენდერებს იგებდა (კონკურენტის გარეშე), სხვა უწყებების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში კი - მარცხდებოდა. 2020 წლის თებერვალში კომპანიამ *ქუთგანათების* 45,400 ლარიანი ტენდერი მოიგო, ისევ კონკურენტის გარეშე.

შპს „ლუკა 2005“

15 აპრილს *თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობამ* პირდაპირი შესყიდვის გზით შპს „ლუკა 2005“-სგან 258,880 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტი შეისყიდა. „ლუკა 2005“ 2019

წლის ივლისშია რეგისტრირებული და აღნიშნულ შესყიდვამდე მიმდინარე წლის იანვარში და მარტში 16,000 ლარამდე ღირებულების 2 კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული.

შპს „ლუკა 2005“-ს 2019-2020 წლებში ელექტრონული ტენდერებით 5 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 6 ტენდერი აქვს მოგებული. აღნიშნული 6 ტენდერიდან 5-ში მას კონკურენტი არ ჰყავდა. უშუალოდ საგანგებო მდგომარეობის დროს ამ კომპანიას 2.4 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების 2 ტენდერი აქვს მოგებული. მის მიერ მოგებული ყველაზე მსხვილი ტენდერები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერებია, შესყიდვის ობიექტი კი ძალოვანი სტრუქტურებისთვის განკუთვნილი პურ-ფუნთუშეულის მიწოდებაა.

შპს „ლუკა 2005“-ის 100%-იანი წილის მფლობელმა **იაშა ჩაჩუამ** 2018 წლის 14 დეკემბერს სალომე ბურაბიშვილს 60,000 ლარი შესწირა, ხოლო კომპანიის დირექტორმა **ნუკრი მეფარიშვილმა** - 10,000 ლარი.

იაშა ჩაჩუას კიდევ ერთ კომპანიას შპს „ილი ჯგუფს“ პირდაპირი შესყიდვის გზით 2012-2019 წლებში 1.6 მლნ ლარის კონტრაქტები აქვს მიღებული. ამავე პერიოდში კომპანიას 110 მლნ ლარის ელექტრონული ტენდერები აქვს მოგებული. მათ შორის, ყველაზე მსხვილი - 73 მლნ ლარიანი ტენდერი სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების და თანამშრომლების კვებით მომსახურებაში მოიგო. აღნიშნულ ტენდერში კონკურენტი მას არ ჰყოლია.

შპს „ჯეოფერუმ“

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ პირდაპირი შესყიდვის გზით შპს „ჯეოფერუმისგან“ 6 აპრილს 521,700 ლარის ღირებულების სამედიცინო ტანსაცმელი შეისყიდა. შპს „ჯეოფერუმი“ 2019 წლის მაისში არის რეგისტრირებული და აღნიშნულ კონტრაქტამდე სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის გამოცდილება არ ჰქონია.

შპს „ჯეოფერუმის“ 100%-იანი წილის მფლობელმა და დირექტორმა **ლევან ლურსმანაშვილმა** 2016 წელს „ქართულ ოცნებას“ 25,000 ლარი შესწირა, ხოლო 2018 წელს სალომე ბურაბიშვილს - 10,000 ლარი.

შპს „მადაგონი 2“

საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში *რუსთავის და გარდაბნის მუნიციპალიტეტებმა* პირდაპირი შესყიდვის გზით შპს „მადაგონი 2“-თან 723,000 ლარამდე ჯამური ღირებულების 29 კონტრაქტი გააფორმეს. საგანგებო მდგომარეობამდე „მადაგონი 2“ 5,000 ლარამდე ღირებულების პირდაპირ კონტრაქტებს იღებდა. კომპანიას ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მიღების გამოცდილება არ აქვს.

შპს „მადაგონის“ დირექტორმა **იური ბედინეიშვილმა** 2016 წელს „ქართულ ოცნებას“ 60,000 ლარი შესწირა.

შპს „ინ-სი“

თბილისის განვითარების ფონდის მიერ 2020 წლის 24 მარტს გამოცხადებულ ტენდერში, რომლის სავარაუდო ღირებულება 34 მლნ ლარი იყო, შპს „ინ-სი“-მ გაიმარჯვა 33.7 მლნ ლარიანი შეთავაზებით. ტენდერში მას ერთი კონკურენტი - შპს „ჯავა“ ჰყავდა, რომელმაც უფრო დაბალი ფასი შესთავაზა, მაგრამ ტექნიკური დოკუმენტაციის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო.

2012-2020 წლებში, პირდაპირი შესყიდვის გზით, კომპანიას 123 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 23 კონტრაქტი აქვს მიღებული. ელექტრონულ ტენდერებში აღნიშნულ 34 მლნ-იან კონტრაქტამდე, მას 10 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების ტენდერები ჰქონდა მოგებული. „ინ-სი“ ძირითადად სამშენებლო სამუშაოების შესრულებითაა დაკავებული.

კომპანია „ინ-სი“-ს დირექტორს **ზვიად თოიძეს** 2016 წლის ოქტომბერში „ქართული ოცნებისთვის“ 50,000 ლარი აქვს შეწირული.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ 21 მაისს პირდაპირი შესყიდვის გზით 85,000 ლარიანი კონტრაქტი გაუფორმა შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ს. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში აღნიშნულმა კომპანიამ 864,000 ლარის ჯამური ღირებულების სამი ელექტრონული ტენდერიც მოიგო. სამივე ტენდერი გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იყო გამოცხადებული და სამივეში მხოლოდ „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“ მონაწილეობდა.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ს 50%-იანი წილის მფლობელები **ნუკრი და ნუგზარ აბალაკები** „ქართული ოცნების“ შემომწირველები არიან. 2017 წლის აგვისტოში და ოქტომბერში პარტიას 60,000-60,000 ლარი შესწირეს.

2012-2020 წლებში ამ კომპანიას პირდაპირი შესყიდვის გზით 8.5 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 59 კონტრაქტი აქვს მიღებული. ამავე პერიოდში მას 85 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების ელექტრონული ტენდერებიც აქვს მოგებული.

დანართი 1. ქართული ოცნების შემომწირველების მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში				
	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან დაკავშირებული პოლიტიკური შემომწირველები	კომპანიის მიერ საგანგებო მდგომარეობის დროს მიღებული სახელმწიფო კონტრაქტების ღირებულება (ლ)	კომპანიის მიერ საგანგებო მდგომარეობამდე მიღებული სახელმწიფო კონტრაქტების ღირებულება (ლ)
1	შპს „ინ-სი“	ზვიად თოიძე	33,700,000	100,000,000
2	შპს „ჯი-თი გრუპი“	ლევან გოგსაძე, გიორგი გველესიანი	11,500,000	104,000,000
3	შპს „ალფა“	შპს „ალფა“	8,934,363	3,200
4	შპს „მზიური“	შოთა ბასილაშვილი, დიმიტრი რამიშვილი	4,531,444	53,000

5	შპს Weekend	ბონდო გოლეტიანი	4,300,000	-
6	შპს „ბაკურიანი ინნ“, შპს „რენესანს კონსტრაქშენი“, შპს „სასტუმრო გუდაური ინნ“, შპს „სასტუმრო ივერია ინ“	პაატა კოკაია	3,798,400	-
7	შპს „თბილისი რეფიერ კომპანი“	„თბილისი რეფიერ“	3,150,000	5,200,000
8	შპს „ეი-ბი ემ“	ალექსანდრე ხეთერელი	3,100,000	9,000,000
9	შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“	ნუკრი აბალაკი, ნუგზარ აბალაკი	949,000	93,000,000
10	შპს „ლოჭინი“	ავთანდილ ნაცვლიძე	750,000	13,500,000
11	შპს „მადაგონი 2“	იური ბედინეიძე	723,000	251,294
12	შპს „ჯეოფერუმ“	ლევან ლურსმანაშვილი	521,700	-
13	შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ“	ვლადიმერ სტეფანიანი	485,290	-
14	შპს „ყვარლის ედემი“	ალექსანდრე მალრაძე, ზურაბ კიკნაძე, ილია ქავთარაძე, ლევან მარშანია, გია უროტაძე, კომპანია „ზიმო“	277,300	400,000
15	შპს „ლუკა 2005“	იაშა ჩაჩუა, ნუკრი მეფარიძე	258,880	5,000,000
16	შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“	ზურაბ ჩხაიძე	252,183	260,000
17	შპს „ყვარელი პალასი“	ივანე ნიკოლაიძე	224,440	63,000
18	სს „თ & რ დისტრიბუშენ“	რაფიელ სურამელაშვილი, ნიკა ზაუტაშვილი, ზურაბ აღნიაშვილი	200,000	675,000
19	შპს „ჯეოსტარი“	არჩილ მაზიაშვილი	100,000	107,000
20	შპს „კ და ქართული სპირტი“	ირაკლი ბექაური, გიორგი დამენიამ	65,000	-
21	შპს „გიორგი - 94“	გონა ხიხაძემ, ლევან კობახიძე	48,060	-
22	შპს „გზა-მშენებელი-13“	დალილა გაბელაია, ნიკოლოზ კვარაცხელია	25,000	11,500,000